



საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს  
ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის  
სატენდერო დოკუმენტაცია

დაფინანსების წყარო 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი

საკანცელარიო საქონელის შესყიდვა

CPV – 22800000

გამარტივებული ელექტრონული ტენდერი

ქ.თბილისი დიდის მასივი 2 კვ, კ. ჩალაძის ქ №1.

## 1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში-სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ შესაბამისად.

1.2 ელექტრონულ ტენდერთან/გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

1.3 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში-სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.

1.4 ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1.5 პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება.

სატენდერო დოკუმენტაციის შესახებ დამატებითი ინფორმაციის და განმარტებებისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს: მანია ჩადუნელი 241-42-74; თამარ მღებრიშვილი 241-40-89; ქ. თბილისი დიდბის მასივი 2 კვ. კ. ჩალაძის ქ№1.

## 2. ტექნიკური დოკუმენტაცია

### 2.1 პრეტენდენტის სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს შემდეგ დოკუმენტებს და ინფორმაციას:

2.1.1 ფასების ცხრილი - დანართი N1 (მიუთითეთ შემოთავაზებული საქონლის მწარმოებელი ქვეყანა, მწარმოებელი კომპანია და გაშიფრეთ შესყიდვის ობიექტის ტექნიკური მახასიათებლები ტექნიკური პირობების შესაბამისად, პრეტენდენტის მიერ მითითებული უნდა იქნას შემოთავაზებული შესყიდვის ობიექტის კონკრეტული, ზუსტი და არა სავარაუდო მახასიათებლები).

2.1.2 ორგანიზაციის რეკვიზიტები (დანართი N2), ფიზიკური პირის შემთხვევაში პირადობის მოწმობის ასლი.

### 3. სატენდერო წინადადების ფასი

3.1 სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახულ უნდა იყოს: **საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის და შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯის გათვალისწინებით;**

3.2 სატენდერო წინადადების საერთო და ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია: **მხოლოდ ლარში.**

### 4. ანგარიშსწორების პირობები

4.1 ანგარიშსწორება განხორციელდება, ეტაპობრივად ფაქტიურად მიწოდებულ შესყიდვის ობიექტზე მიღება-ჩაბარების აქტის და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ, ყველა დოკუმენტი ხელმოწერილი უნდა იყოს მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ.

4.2 ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო.

5. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პირობები:

N	შესყიდვის ობიექტის დასახელება	შესყიდვის ობიექტის ტექნიკური მახასიათებლები	რაოდენობა (ცალი)	მიწოდების ვადა	მიწოდების ადგილი
1	ბლოკნოტი	ა 4ფორმატის, არანაკლებ 100 ფურცლიანი, მყარი (არადრეკადი) მუყაოს ყდით, ცალხაზიანი, ფერის არჩევის შესაძლებლობით	300	ეტაპობრივად, ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში	ქ. თბილისი დიღმის მასივი II კვ. კ. ჩალაძის №1 შსს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტი
2	რვეული	ა 4ფორმატის, არანაკლებ 80 ფურცლიანი, ზამბარით, ფერის არჩევის შესაძლებლობით	270		
3	ყოველდღიური ბლოკნოტი	ა5 ფორმატის, 2017 წლის დათარიღებით, არანაკლებ 165 ფურცლიანი, თვეები დივიდირებით, ქართულ-ინგლისური, საქართველოს რუქით, შავი ფერის ტყავის შემცველის ყდით, მომდევნო ორი წლის კალენდრით, ინფორმაცია მსოფლიოს ქვეყნებზე (დედაქალაქი, მოსახლეობა, ფართობი და დროის სარტყელი), ზომა-წონის ერთეულები, საქართველოს ქალაქებს შორის მანძილი, ბრენდირებული შსს ლოგოთი	440		
4	ბლოკნოტი	ა 5 ზომის, უჯრიანი, არანაკლებ 150 ფურცლიანი, ტყავის შემცველი შავის ფერის შემოკერილი ყდით, სანიშნით	400		
5	ბლოკნოტი	არანაკლებ 220X278 მმ-ზე ზომის, შავი ფერის ტყავის შემცველის ყდით, არანაკლებ 100 ფურცლიანი, მეტალის კუთხეებით	20		
6	საქაღალდე	პლასტიკური ყდით 60 ფაილით	100		
7	საქაღალდე	პლასტიკური რეზინით	100		
8	კლიპფაილი ზამბარით	ლურჯი ფერის ა4 ზომის სქელი პლასტიკური ყდით, მეტალის ზამბარიანი დამჭერით	200		
9	საქაღალდე	მუყაოს, ბაფთიანი	500		
10	საქაღალდე	პლანშეტი დამჭერით, ორფრთიანი, შავი ფერის ტყავის შემცველი ყდით, მეტალის მყარი სამაგრით	500		
11	საქაღალდე (ადრესატი)	სიგრძე 31-33 სმ, სიგანე 25-28 სმ, ტყავის, ფურცლის ჩასადებით, მეტალის კუთხეებით, ფერი შავი	5		

შენიშვნა:

- თუ ელექტრონული ვაჭრობის დასრულების შედეგად სატენდერო წინადადების საბოლოო ღირებულებიდან გამომდინარე ერთეულის ღირებულება დაფიქსირდება მრავალნიშნა ათწილადად, პრეტენდენტი ვალდებულია ერთეულის ღირებულებები შეამციროს და დაამრგვალოს მეასედებამდე, შესაბამისად შეამციროს საერთო ღირებულებაც.
- ვაჭრობის დამატებითი რაუნდების დასრულების შემდეგ, ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოს შემოთავაზებული საქონლის ნიმუშები, იმ შემთხვევაში თუ წარმოდგენილი ნიმუშები არ აკმაყოფილებს ტექნიკურ მოთხოვნებს, მოხდება პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია.
- დისკვალიფიკაციას დაექვემდებარება პრეტენდენტი, თუ სატენდერო დოკუმენტაციის დაზუსტებისას, ასევე, ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული, საბოლოო ფასის შესაბამისად დაზუსტებული ფასების ცხრილის წარმოდგენისას, განახორციელებს თავდაპირველად შემოთავაზებული საქონლის წარმოშობის ქვეყნის ან/და საქონლის მწარმოებელი კომპანიის შეცვლას.
- შესყიდვის ობიექტის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოს ბაზარზე ოპერირებად არაერთ კომპანიას შეუძლია შემსყიდველს კონკურენტუნარიან ფასში შესთავაზოს სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტი. აღნიშნულის გათვალისწინებით, კონკურენციის გაზრდისა და ხელსაყრელი ფასის მიღების მიზნით, სახელმწიფო შესყიდვების საგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის N9 ბრძანების მე-9 მუხლის 11 პუნქტის საფუძველზე, ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტი წინამდებარე ტენდერში არ მოითხოვება.

ფასების ცხრილი

პრეტენდენტის დასახელება \_\_\_\_\_

№	შესყიდვის ობიექტის დასახელება	შესყიდვის ობიექტის ტექნიკური მასხასიათებ ლები	რაოდენ ობა (ცალი)	ერთეულ ის ფასი (ლარი)	საერთო ფასი (ლარი)	მიწოდების ვადა	მიწოდები ს ადგილი	შესყიდვის ობიექტის მწარმოებელი ქვეყანა	შესყიდვის ობიექტის მწარმოებელი კომპანია	შესყიდვის ობიექტის მოდელი
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11

პრეტენდენტის ხელმოწერა \_\_\_\_\_

**ხელშეკრულება  
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ  
ბამარტივი ელექტრონული  
ტენდერის საშუალებით  
CPV – 22800000**

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია წლის „ „ ქ. თბილისში.

ერთის მხრივ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტი (შემდგომში – შემსყიდველი), წარმომადგენლის – საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსის ————— სახით და

მეორეს მხრივ, ————— (შემდგომში – მიმწოდებელი), ————— სახით, ვადასტურებთ, რომ ჩვენს შორის მიღწეულ იქნა ურთიერთშეთანხმება შემდეგზე:

შემსყიდველმა ჩაატარა №———— გამარტივებული ელექტრონული ტენდერი საკანცელარიო საქონლის შესყიდვაზე და მიიღო მიმწოდებლისგან სატენდერო წინადადება საქონლის მიწოდებაზე შემდეგ თანხაზე ————— ლარი, შემდგომში ხელშეკრულების ფასი. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

- 1. **ხელშეკრულების შესყიდვის ობიექტი** - - ხელშეკრულების შესყიდვის ობიექტი მოცემულია ფასების ცხრილში, რომელიც თანერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.
- 2. **დაფინანსების წყარო** - 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.
- 3. **გამოყენებული ტერმინების განმარტებები**

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

3.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ ხელშეკრულება) – შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებული;

3.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

3.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომში „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

3.4 „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში, შემსყიდველ ორგანიზაციასთან დადო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ და აწვდის შემსყიდველს საქონელს მოცემული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

3.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

**4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**

4.1 შემსყიდველის უფლებამოსილ წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება) მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

4.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს (ინსპექტირებას) განახორციელებს შსს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის -----.

4.3 ინსპექტირების განმახორციელებელი პირის ფუნქციებია: შესყიდვის ობიექტის მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სათანადო კონტროლი, ზედამხედველობის განხორციელება და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

4.4 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

4.5 კონტროლის შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

4.6 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა დაუყოვნებლივ.

## 5. საპატენტო უფლებები

5.1 საქონლის ან მისი ნებისმიერი ნაწილის გამოყენებისას საპატენტო უფლების დარღვევასთან, ასევე სასაქონლო მარკის ან საწარმოო ნაკეთობის გამოყენებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავების ან მატერიალური პასუხისმგებლობის მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს.

## 6. საქონლის მიწოდების ვადა და პირობები

6.1 მიმწოდებელი ვალდებულია ფასების ცხრილში მითითებული შესყიდვის ობიექტის მიწოდება განახორციელოს —

6.2 მიწოდების ადგილი: ქ. თბილისი.

6.3 საქონლის მიწოდებას შემსყიდველის მიერ მითითებულ ადგილზე უზრუნველყოფს მიმწოდებელი საკუთარი ხარჯებით (საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადისა და გადასახდელის, ასევე ყველა ხარჯის გათვალისწინებით, რომელიც დაკავშირებულია საქონლის მიწოდებასთან).

## 7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი მიღებულად ჩაითვლება ფაქტიურად მიწოდებულ შესყიდვის ობიექტზე, მიღება-ჩაბარების აქტის და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ, ყველა დოკუმენტი ხელმოწერილი უნდა იყოს შემსყიდველისა და მიმწოდებლის მხრიდან გამოყოფილი უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ.

## 8. ხარისხი და ბარანტი

8.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

8.2 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ მიაწოდოს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო, მაღალი ხარისხის შესყიდვის ობიექტი, რომელიც უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, წინააღმდეგ შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს ნაკლის აღმოფხვრა.

8.3 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის დღიდან ერთი წლის განმავლობაში შესყიდვის ობიექტზე ქარხნული წუნის აღმოჩენის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია 5 სამუშაო დღის ვადაში საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფს დეფექტური შესყიდვის ობიექტის შეცვლა ახლით. დეფექტის აღმოფხვრის ვადის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დეფექტის მქონე შესყიდვის ობიექტის ღირებულების 1%-ის ოდენობით.

## 9. ანგარიშსწორების წესი

9.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარში მიმწოდებლის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

9.2 ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო.

9.3 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ეტაპობრივად ფაქტიურად მიწოდებულ შესყიდვის ობიექტზე მიღება-ჩაბარების აქტის და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში, ყველა დოკუმენტი ხელმოწერილი უნდა იყოს მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ.

## 10. ხელშეკრულების გადასინჯვა და ცვლილებების შეტანა

10.1 არანაირი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორების გარდა.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით ან/და ზეპირად შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომელთა გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.



10.3 წინამდებარე ხელშეკრულების ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

10.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება/დამატება უნდა გაფორმდეს წერილობით ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ხელმოწერილი იქნება მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ და ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შედეგად მიყენებული ზარალისათვის მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

11.2 შემსყიდველი უფლებამოსილია, მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს დააკისროს ჯარიმა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით და შეწყვიტოს ხელშეკრულება.

11.3 შემსყიდველი უფლებამოსილია, მიმწოდებლის მხრიდან შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო ყოველ ვადა გადაცილებულ დღეზე მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების 0.5 %-ის ოდენობით.

11.4 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.5 ჯარიმის დაკისრების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია დაკისრებული ჯარიმა გადაიხადოს 15 სამუშაო დღის ვადაში და შემსყიდველს წარუდგინოს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი. განსაზღვრულ ვადაში ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება მე-14 მუხლის 14.2 პუნქტის შესაბამისად და გამოიყენოს მე-11 მუხლის 11.2 პუნქტით გათვალისწინებული ჯარიმა.

## 12. ფორს-მაჟორი

12.1 ხელშეკრულების დამდები, რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ვალდებულების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი.

12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მხარეების შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომელთა გათვალისწინებაც შეუძლებელი იქნებოდა წინასწარ. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 13.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან და მოქმედებს 2017 წ. \_\_\_\_\_ ჩათვლით.

13.2 წინამდებარე ხელშეკრულების ის მუხლები, რომლებიც აწესრიგებს პირგასამტეხლოსთან დაკავშირებულ საკითხებს, მოქმედებენ მხარეთათვის განსაზღვრული შესაბამისი ვალდებულების სრულ შესრულებამდე.

## 14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1 ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტა დასაშვებია მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

14.2 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს (არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს) ხელშეკრულების პირობების შესრულებას და შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს მე-11 მუხლის 11.2 პუნქტით გათვალისწინებული ჯარიმა.

14.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.4 ხელშეკრულების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

14.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

14.6 შემსყიდველი ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის შეწყვეტის გადაწყვეტილების მიღებისას ვალდებულია შეატყობინოს მიმწოდებელს მიღებული გადაწყვეტილება და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მიმწოდებელს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე.

14.7 ამ მუხლის მე-14.5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნახდაუროს მიმწოდებელს წუნის გარეშე მიღებული ფაქტიურად მიღებული შესყიდვის ობიექტის ღირებულება.

## 15. სხვა პირობები

15.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი ურთიერთმოლაპარაკების მეშვეობით მოავარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ. უთანხმოების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეებს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლიათ მიმართონ საქართველოს საერთო სასამართლოს.

15.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლის და სხვა გადასახადების გადახდაზე.

15.5 ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.6 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, იდენტური შინაარსის 3 ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა, ორი ეგზემპლარი რჩება შემსყიდველთან, ერთი მიმწოდებელთან.

15.7 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება/დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმით იქნება შედგენილი და მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი.

მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

„დანართი N2“

- პრეტენდენტის იურიდიული ფორმის დასახელება:
- ხელმძღვანელის სახელი და გვარი:
- პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:
- ბანკის დასახელება:
- საიდენტიფიკაციო კოდი:
- ბანკის კოდი:
- ანგარიშის ნომერი:
- პრეტენდენტის ტელეფონის ნომრები:
- ელექტრონული მისამართი:

ხელმოწერა და ბეჭედი

---

---